საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“
თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.;
კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

№ 77

ქრონიკული ბიბლიოთეკა

ტფილისი, სექტემბერი 1921 წ.

აჯარა

ჩვენს ირგვლივ მეტად მნიშვნელოვანი საკითხებია წამოყენებული. დიდი პოლიტიკური აქტების მოწამენი ვიყავით, ვართ და მომავალიც მრავალს საყურადღებოს გვიჩვენებს; მით უფრო გიჟირია გაორკეცებული სიფხიზლე და თავის ადგილას დგომა ისეთ სიპასუხისგებლო მომენტში როცა ჩვენი „დაუდევრობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს სისხლითა და ბრძოლით მონაპოვარი ქართველი ერის პოლიტიკური მთლიანობა, მისი სახელმწიფოებრივი სახეობაც კი. ჯერ კიდევ საბოლოოდ გამორკვეული არ არის სოხუმის ოლქის პოლიტიკური მდგომარეობა ქართული სახელმწიფოს შემადგენელს უჯრედებში, სამეჰმადიანო საქართველოს ბედი საბოლოოდ გარკვეული არ არის, ოსეთის ტერიტორიალურ ავტონომიაზე მოგვითხრობენ დროებამოშვებით ენაწყლინი პოლიტიკოსები, ამიერკავკასიის ერთა ფედერაციის საკითხი დღიურ წესრიგში დასვეს, ერთი სიტყვით არაჩვეულებრივ მდიდარი შეიქენით სხვა და სხვ. პოლიტიკური კომბინაციებით და ფორმულებით ისე, რომ ვერ ასწრებს კაცი პასუხი გასცე წამოჭრილ პოლიტიკურს კითხვას, რომ მას ჩვენი ერისათვის არა ნაკლებ სავალალო კითხვა ამოეტეტუზება გვერდით და ღირსეულს გაშუქებას მოითხოვს. ეეშმარიტად რთულია ტ პასუხისმგებ დროშ ესცხოვრობთ!

ვაგლახ, თუ ვერ გამოვიჩინეთ იმდენი შორსმჭვრეტელობა და სიდინჯე, რომ სათანადოთ შემოუარეთ თავი დიდ ისტორიულს ბრძოლებს და პატარა ერის დიდ ტკივილებს!

ასეთი დიდი მნიშვნელობის ეროვნულ-პოლიტიკური საკითხი იყო და არის სამეჰმადიანო საქართველოს საკითხი. კვლავ ჩვენი სახოგადოების ყურადღებას იპყრობს ზრუნვა იმ პრინციპების მოშუშებისათვის, რომელიც მიაყენა ქართველ ხალხს ისტორიის პოლიტიკურმა წამებამ; კვლავ დაისვა საკითხი: თუ რა როლი უნდა შეასრულოს ქართულ-სახელმწიფოებრივობის მშენებლობაში სამეჰმადიანო საქართველომ სახოგადოთ და კერძოთ მისმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა—აჯარამ.

კარგად ვიცით, რომ მენშევიკური ცდა საქართველოს პოლიტიკურად გამრუდული სახის გამოსწორებისა, დამაცხდა უმთავრესად იმ შემცდარი ნაბიჯების წყალობით, რომლითაც ვიდოდა რამიშკილ-სულაქველიძე-ჩხიკვიშვილების ძალა-უფლება, თავის მიზნების განხორციელების დროს. მენშევიკური მთავრობის მუშაობა მათ თვის ოლქში უაღრესად ეროვნული გახლდათ სუბიექტიურად თავის მიზნებით, ხოლო ობიექტიურად, ეს მუშაობა წინააღმდეგ შედეგებს იდწვევდა ე. ი. იგი იყო უაღრესად ანტიეროვნული. სამეჰმადიანო საქართველოს დაბრუნება დედა ერისადმი იყო ერთი დადებითი მიზანი მენშევიკურ სახელმწიფო მოდვაწეთა. მაგრამ მათ არ იცოდნენ მაზრებთან ისე მისვლა, რომ უკანასკნელნი ეროვნულს სახელმწიფოს ალიშენებლობაში აქტიურად ჩაეთრიათ, თვით ხალხი გაეხადათ პოლიტიკის შემქმნელ ელემენტად. ეს არ იყო მენშევიკური უცაბედი მარცხი, არც მორიგი პოლიტიკური შეცდომა, რომელიც შეიძლება ჩაიდინოს ყოველმა მომქმედმა პოლიტიკურმა პარტიამ, პირიქით, მენშევიკური ძალა-უფლების და ჩვენდა საუბედუროდ ამის გამო, ჩვენი სახელმწიფოს დაშორება სამეჰმადიანო საქართველოს მასსებიდან ლოდიკური აუცილებლობით გამომდინ რეობდა იმ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გეზისაგან, რომელსაც გაჰყვა ჩვენში მენშევიკური მთავრობა. თუ კი დანაშაულზე შეიძლება ლაპარაკი, აქ საერთოდ სახელმწიფო მექანიზმია დამნაშავე იმაში, რომ ჯერაც ვერ ეზიარა მთლიან ნაციონალურს სახელმწიფოს იდეას სხვა და სხვა ქართველი ტომები და მათ შორის ჩვენი მოძმე აჭარლებიც ჩვენი სახელმწიფო ვერ აღმოჩნდა იმდენად მოქნილი და ელასტიური იმისათვის, რომ ისტორიული უკუდმართობა, სამცხე-საათაბაგოს თავს დატეხილი, ნაკლ ბი-ტკივილით გამოესწორებინა. და ეი ამ ახლო წარსულის ნამოდვაწევარს ვიმკით დღეს სხვა დროს და სხვა. გვარი სახელმწ ფოებრ ვ ს ტრუქტურის არსებობისა. ემართ ს მეტი შორსმჭვ ეტელოა., რომ „წარსულის გაკვეთილით ვისარგებლოთ და ასე ხელადებით ყველაფერი ან არ დავიწუნოთ ამ ახლო წარსულში, ან არ მოვიწონოთ. მთლიანი ნაციონალური სახელმწიფოს იდეა ისე მიხადებია ღღეს, როგორათაც მისაღები იყო იგი გუშინ. მხოლოდ მოკვდა ბურჟუაზიულ დემოკრატიული აგურებით ნაშენი ეროვნული სახელმწიფო. მშრომელი ხალხის დიქტატურამ წარმოკვა საკუთარი კონტროლის ქვეშ ახალი სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, რომლის ძლიერებაც დამოკიდებულია უმთავრესად იმაზე, თუ რამდენად შესძლებს დიქტატორი კლასი ამ სახელმწიფოსათვის მთლიანი ნაციონალური შინაარსიის მიცემას, რამდენად განუკვეთად შეჰკრავს იგი ერის სხვა და სხვა ნაწილებს.

დღეს-დღეობით, ყველასათვის ცხადია, რომ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს მეთოდი მასსებთან მისვლისა გუშინდელ მესვეურთა პოლიტიკისაგან უმთავრესად განსხვავდება, იმით, რომ იგი ეგუება უღარიბეს ნაწილს საზოგადოებისას, მაშასადამე იგი ემყარება რეალურს უმრავლესობას. გარეგნულად ერთმას შესედვით, ეს თითქოს ასე არ არის. მოჩვენებით მენშევიკურ-ბურჟუაზიული დემოკრატია ყველას უფლებას ცნობს, ყველას აქტიურ მოქმედებას გულისხმობს; ნამდვილად კი ერთი მუჭა ბურჟუა-ფეოდალთა ბატონობას ამტკიცებდა მენშევიკური პოლიტიკა საქართველოში. ამითაც აიხსნება ეროვნულს სხეულიდან ერთხელ მოგლეჯილ აჭარლების დაშორებით.

ნოემბრის 7-ს „ფუხარა გლეხთა“ ყრილობა აჭარაში ჩვენი ნათქვამის დადასტურებაა უმეტეს შემთხვევაში, მუშურ-გლეხურმა საქართველომ ღატაკ გლეხობის გზით მიიხდომა თავისი პოლიტიკის განმტკიცება აჭარაში და ამიტომაც ფუხარა გლეხებს მოუხმო სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად. ყრილობის შემადგენლობა სრულიად აკმაყოფილებდა თავის დანიშნულებას. მშრომელი გლეხობის თვალსაზრისით მიუდგა ყრილობა ყველა საერთაშორისო პოლიტიკურ-სოციალურ საკითხებს და ღირსეულადაც გადაჭრა იგინი. მიწა უნდა ჰკონდეს მიწის მუშასო—სთქვა თვის რეზოლიუციაში დარის გლეხობის ყრილობამ; აგრეთვე განსაკუთრებული უფლებები მიაქცია მან აჭარის მცხოვრებლების ძოსაღლდნელს სიმშილს მიძღინარე წლის მოუსავლობის გამო, განათლების მხარემაც მიიპყრო ყურადღება სამოქმედოთ გამოსულ იმ გლეხობისა, რომელსაც წარსულში საამისო ინიციატივა—უნარი არ გამოუჩინა და ნახევრად ფეოდალურ ბორკილებში სულს დაკავდა. ყრილობამ უარი უთხრა მეჯლისს ტ რევოლიუციონური წითელი მეჯლისში აირჩია. მრავალი საკითხები გადასჭრა ყრილობამ, ისე როგორც ამას მოითხოვდა მშრომელი ხალხის ინტერესი, მაგრამ არ შეგვძლია არ აღვნიშნოთ ერთი დეფექტი, რომელიც როგორც აღნიშნული გვქონდა ისტორიულად ნაანდერძევი და აჭარის ყრილობაც მისგან სავსებით თავისუფალი ვერ აღმოჩნდა. „ყრილობა არ გრძნობდა განუკვეთელობას იმ სხეულთან რომლის ერთი ნაწილი არის აჭარა, რომლის დამფარველი ცნება არის საქართველო. ყრილობაზე ზოგმა ორატორმა გადაჭრით აღიარა, რომ მათთვის მნიშვნელობა არ აქვს თუ რა ენაზე ილაპარაკეს აჭარელი მშრომელი გლეხობა, რა ენით დასწერს აჭარელი მწერალი. მათი აზრით საინტერესოა ვიცოდეთ ამ გლეხობის აზრი რევოლიუციაზე საერთოდ, ძორჩა და გათავდა. როგორი ორიენტაციის არიან, ან უნდა იქმნენ ეროვნულად აჭარლები დამბარეშვილებისათვის როგორც სჩანს დიდათ საინტერესო არ არის. მაგრამ ქართველი მუშისა და გლეხისათვის—ეს მისი სათუთი სულისა და ეროვნული მეობის საკითხები იმდენად უმტკივნეული როდი არის, რომ მას ასე იოლად გვერდი ჩაუაროს და პირდაპირ იგი რევოლიუციის სიტკბოებას დაეწაფოს.

ზოგი ორატორის აზრით, ხალხის უმრავლესობას თურქული უნდა, მაგრამ ტეხნიკურად თურმე ეს მეტად ძნელი განსახორციელებელი ყოფილა „ყველაფერი რომ თურქულად ვისწავლოთ მოგვიწევს ჩვენი სამშობლო ვერას დატოვება და ოსმალეთში წასვლა“-ო ასაბუთებს თავის აზრს ერთი ორატორთაგანი. ნამდვილად კი ჩვენი საბუთი ყველა „ფეხნიკური“ და მიკიბულ-მოკიბულ საბუთებზე უფრო ძლიერი წონისა და ლოგიკის გახლავთ: აჭარელებმა ქართულად უნდა ილაპარაკონ, რადგანაც ისინი ქართველებია მოდგმით, ქართველებია მთელი წარსული კულტურით, ქართველებია, გარეგნული ტიპით და ერთი სიტყვით აჭარელი სულითაც და ფიზიკურადაც. ჩვენ მომავრე ვართ ტლანქი ძალით, ვაცემინოთ თავყვანი ეროვნული ქურუმისათვის ჩვენს მოძმე აჭარლებს, მაგრამ მბურველი მოსურნე ვართ ფუხარა გლეხი აჭარისა შეგნებით მივიდეს იმ კანდელთან, რომლიდანაც ის თავის ვინაობას დაინახავს. თავის მეობას გამოიცნობს. ამიტომ ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობამდე არ უნდა მივიდეთ არ უნდა ვსთქვათ: რადგ ნ მენშევიკურ ბურჟუაზიული მთავრობა ძალით, ამყენდა ეროვნულს ნერგს მოძმე აჭარლებში, ამიტომ ეს ნერგი არც რწმენითა და შეგნებით უნდა შევიტანოთ ჩვენი სამშობლოს ფესვგადგმულს კუთხეში—აჭარაში. ჩვენ დასამალავი არაფერი გვაქვს, ნრც სად დიპლომატებად მიგვაჩნია ერის ბუნებრივ უფლებებზე დავდუმდეთ მაშინ, როცა უმწიკვლო სიმართლის ხმა ასე დაეანებით მოგვიხმობს ეროვნული ვალის ასრულებისათვის. ამიტომ ვერ ვიწოხებთ, როგორც ყრილობის ზოგიერთ მომხსენებლის, აგრეთვე ზოგ ორატორის მიჩქმალვას ეროვნული მომენტისას აზრთა დასაბუთების დროს.

ჩვენ ვიცით, რომ აჭარის ღატაკ გლეხობის ყრილობა ეროვნული შემოქმედების მატარებელია ობიექტიურად, მაგრამ ყველელ ქართველს უნდა, რომ იგი იყოს ასეთი სუბიექტიურადაც. როგორც საერთაშორისო რევოლიუცია, უფრო მეტად ქართული ეროვნული შემოქმედება გაიწელდავს გზას მიწის საკითხის ისე გადაჭრით, როგორითაც ე. გადასჭრა აჭარის გლეხთა ყრილობამ. სწავლა-განათლების საქმეს სათანადო სიმაღლეზე აყვანა აჭარაში, ობიექტიურად მოიტანს ეროვნული ცნობიერების გაძლიერებასაც. ჩვენც კარგათ ვიცით ისიც, რომ თუ კი მიბოსვლა და გზები აჭარაში გაუმჯობესდება, ამით უფრო მეტად განმტკიცდება მისი კავშირი დედა საქართველოსთან-მეტროპოლიასთან. ვიცით ყოველივე ეს და მით უფრო საჭიროდ მიგვაჩნია ავუხსნათ ქართველ მუშას და გლეხს ეროვნული თვალსაზრისითაც ის სოციალ-პოლიტიკური მოვლენანი, რომელიც თავისთავად ისე წარმტაცნი და მომხიბვლელნი არ არიან ჩვენ გარკვევით ვამბობთ; ვემხრობით აჭარის ავტონომიას არა როგორც განსხვავებულს ეთნიურ-გეოგრაფიულ პოლიტიკურ ერთეულს, არამედ როგორც ტაქტიკურს გადასვლას. საუკეთესო საშუალებას ისეთი კულტურული მთლიანობის დამყარებისათვის, როცა ქართველ ტომებს არ დასჭირდება განსაკუთრებულს ტერიტორიალურს ავტონომიებში. დღევანდელი ავტონომიები აჭარისა და ოფხეთისა შეიძლება გამართლდეს მხოლოდ როგორც პოლიტიკური კომპრომისი ისტორიული გაუგებრობის მოსასპობად და მეტი არაფერი, ეს არ გახლავთ ის პოლიტიკური შინაარსის ავტონომია, რომელიც შეიძლება მისცემოდა საქართველოს სახელმწიფოებრივობას რუსეთთან დამოკიდებულების დროს. აჭარის ავტონომია გულისხმობს თანდათანობითს შედეგებს, შეზრდას ნაწილისას მთელში, საქართველოს ავტონომიის მიზანი კი იყო ეროვნული თავისუფლების მიღება ე. ი, ცენტრისგან მსრბოლი შინაარსი ქონდა ავტონომიას ამ შემთხვევაში, ცენტრისადმი მეგუება-შედეგების მიზანი აქვს ძს პირველს შემთხვევაში, ჩვენ ეს კარგად უნდა ვგვახსოვდეს, ჩვენთვის ეს პოლიტიკურ სახელმწიფოებრივი ყოფნა არ ყოფნის საკითხია და მისი დავიწყება არ ეპატიება ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელს მით უმეტეს აჭარის ფუხარა გლეხთა ყრილობაზე. აჭარა რევოლიუციონერს გლეხობას მიყავს სოციალისტურს აღმშენებლობისაკენ, როგორც ამას გვეუბნება ყრილობის რეზოლიუციები, აჭარა რევოლიუციონერმა გლეხობამვე უნდა წაიყვანოს დავიწყებულ სამშობლოს გამთელებისაკენ. ფეოდალურმა საქართველომ დაჰკარგა მთლიანობა, სოციალისტურმა საქართველომ იგი უნდა აღაგინოს! ეი მთავარი მოსაზრება ჩვენს სოციალისტურს პოლიტიკაში, ეი ის თვალხედვა, რომლიდანაც უნდა გამოდიოდეს ქართველი სოციალისტი და ქართველი კომუნისტი. ნამდვილი აჭარა, ღატაკ გლეხთა აჭარა გამოდის დღეს პოლიტიკურ-სოციალისტური აღმშენებლობის სარბიელზე და ეს თავდებია იმის, რომ იგი განთავისუფლდება იმ თურქოფილობისაგან, რომელიც ბოგუნა აჭარის ხალხს ისტორიულმა ჩამორჩენილობამ.

დიახ, განათლებით, შეგნებითა და რწმენით უნდა ამოითხაროს ძირიანი ფესვიანად ბეგური ავანტიურიზმის ნაშთები, რომელნიც ასე უდანაშაულოდ ასახიჩრებდა ქართველი ერის მთლიან სახეს და მის ჯანმრთელს სხეულს.

სოციალიზმი და ქართველი ეროვნების დაცვა—ეი ის ორი ცნება, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს აჭარის ღატაკმა გლეხობამ თავის მომავალ მუშაობაში.

ეფ. ხაჩნოელი.

რეაქციის კართაგენი

ევროპის ბურჟუაზიის ლიდერმა ლოიდ ჯორჯიმ თემთა პალატაში განაცხადა: ინგლისი საშინელ ეკონომიურ კრიზისს განიცდის. მთავრობა სცდილობს დანგრეულ სამეურნეო ცხოვრების აღდგენას, და თან დასძინა: უმუშევართა რიცხვი დღითი დღე მრავლდება, განსაზღვრული გვაქვს ათ მილიონი გირვანქა სტერლინგის გადადება და ფონდის შექმნა უმუშევარ მუშათა ოჯახების დასახმარებლადო.

ვინც ჩაუკვირდება ჯორჯის განცხადებას, მისთვის სავსებით ნათელი გახდება იმ ცოჯოხეთური პირობების მთელი სიმკაცრე, რომელიც გამეფებულია ამ. ჟამად ინგლისში. წარმოება თითქვის ყველგან დაეცა, (საერთოდ—13 პროც.-თ) მრეწველობის ყოველ დარგში სრული უსისტემობაა, არევ-დარევა, საწარმოო ძალთა მუშაობა—განვითარება შეჩერებული. უმუშევართა მილიონიანი ლაშქრები ავსებენ ლონდონის ქუჩებს და ბურჟუაზიას განადგურებით ემუქრებიან.

ასეთ პირობებში როგორი გზის ძიებაშია მმართველი წრეები ტ ინგლისის მშრომელი მასსები? რას ეკარნახებს კაცობრიობას ინგლისის თანამედროვე მდგომარეობა?

1914 წლამდე ბურჟუაზიულ წარმოების ნორმალი განვითარებამ მსოფლიო ისტორიულ ომის წინაშე დააყენა. ევროპის კაპიტალისტურ ინდუსტრიალ წარმოებამ განვლო ევოლიუციის უმაღლესი საფეხურები და ლოდიკურის აუცილებლობით ბურჟუაზია იმპერიალისტურ პოლიტიკის წარმოების გზაზე დააყენა. იფეთქა ომმა: სხვა და სხვა ქვეყნის კაპიტალისტთა კლასების ინტერესების სხვა და სხვაობის ნიადაგზე მოხდა საშინელი შეტაკება შეიარაღებულ სახელმწიფოებისა. ერთი ქვეყნის ბურჟუაზია დაუპირდაპირდა მეორე ქვეყნის ბურჟუაზიას, რასაკვირველია, იმ მიზნით, რომ დაეპყრო ახალი მხარეები, ახალი ბაზრები და ამით საკუთარი მოვლენის ტერიტორიალი მოხახულობა ფართო მაშტაბში გაეფართოვებინა. ომმა 1918 წლამდე გასტანა და ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს გასტანდა იგი, რუსეთის მონარქიას არ დაეთმო ტახტი პროლეტარიატის დიქტატურისათვის. ომმა ნათლად დაანახვა კაცობრიობას მთელი ანტიბუნებრივობა და სიტლანქე ბურჟუაზიულ, კაპიტალისტურ წარმოებას ეპარატისა. ბურჟუაზიამ ვერც თავისი მიზანი გაანადგა და ვერც შემდეგი განვითარების საფუძვლები გამონახა. მებრძოლი ბურჟუაზია ევროპიულ ომში სასტიკად დამარცხდა, გაკოტრდა ეკონომიურად, დაეცა, შედარებით, პოლიტიკურად. ესაფრანგეთის ვალი 36 მილიარდი მარკას უდრის, გერმანიის—გაცილებით მეტს. კოლონიალი პოლიტიკა ძლიერ სუსტად დასაყრდენი შეიქნა ბურჟუაზიისათვის, ვინაიდან საერთაშორისო ომს მთელი ქვეყნის მსვლელ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის განაწილებამ გაუსწორო წინ. არ აღმოჩნდა არც ერთი ნაკერი, არც ერთი კუთხე დედამიწის ზურგზე, რომელიც შესაძლებელი იქნებოდა გამხდარიყო განაწილების ახალი საგანი. ამიტომ ომმა მიიღო კოლონიების გადანაწილების ხასიათი. აქ ჩაიკრა ბურჟუაზიული პოლიტიკა და შეირყა კაპიტალისტური სამყარო.

ომმა ბურჟუაზიას გამარჯვების მაგიერ დამარცხება მოუტანა, ეკონომიური აყვავების ნაცვლად სრული ეკონომიური ცხოვრების დაშლა, იზოლიაცია. ჩვენ ყველანი ვართ მოწმე იმისა, რომ ევროპის ბურჟუაზიის მთელი გულისყური, ყურადღების ცენტრი მიმართულია სწორედ საწარმოო და საადგილ-მიცემო პირობების ჩვეულებრივ კალაპოტში ჩაყენებისაკენ. ვაშინგტონის კონფერენცია მშვიდობიანობას მოითხოვს და აგრეთვე კატეგორიულად აცხადებს მებრძოლ სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალების განიარაღებას, ე. ი. საჭირო წესებიდან სამოქალაქო ცხოვრებაში გადასვლას. ჩვენ ვამტკიცებთ, ბურჟუაზიას არც აქ შეუძლია განახორციელოს თავისი მიზნები, მას არ ძალუძს თანამედროვე ეკონომიურ სიტუაციის უნაგალო პირობებს მოწესრიგება. ევროპის ცხოვრების ფაქტები დღემუდამ იმას მეტყველებენ, დადადებენ იმ პეშმარიტებას, რომ წარმოების ბურჟუაზიულ სისტემამ განვლო განვითარება—აყვავების საუკეთესო წლევნი და დღეს მისი საშვალებით ყოველად შეუძლებელი ხდება წარმატების გზაზე დაყენება მსოფლიოს გაპარტახებულ ეკონომიკის. თოფ-იარაღში ჩამსხდარი იყო რამოდენიმე მილიონი ხალხი, პროლეტარული მასსები ყველა სახელმწიფოებისა. ომის შეწყვეტამ მათ მისცა მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება. პროლეტარიატი დაუბრუნდა თავის დაზგებს, მაგრამ რა აღმოჩნდა აქ? აღმოჩნდა, რომ საერთაშორისო ეკონომიური ცხოვრებაომის გამო სავსებითშერყეულია ინგლისის კაპიტალისათვის ფართო ბაზარი უკვე დაიხშო, ვინაიდან კოლონიებმა შესდგა ფეხი დამოუკიდებელი ეკონომიკის გზაზე და მინიმუმადე შეამცირა იმ პორტისსაჭიროება. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ეკონომიურ კრიზისის განვითარებას ინგლისში და უმუშევართა ლეგიონების გეომეტრიულის პროგრესით გამრავალრიცხოვანებას. ლოიდ ჯორჯის ბრძოლა უმუშევრობასთან გაშედეგოთ დარჩება. ძლიერ საეჭვოა, 50 ათას ყოფილ ჯარისკაცების თავისუფალ ადგილებზე დასახლებით და 10 მილ. სტ. ფონდის შექმნით ჯორჯმა მიაღწიოს საბოლოოდ უმუშევრობის ლიკვიდაციას!

ცხადია, ანტანტის ქვეყნებს შორის სერიოზულ კრიზისს ინგლისიც განიცდის. ეს ისეთი მოვლენაა, რომელსაც აქვს დიდი მნიშვნელობა თანამედროვე რევოლიუციის ვითარებისათვეს. ინგლისი მსოფლიო რეაქციის კართაგენი, შეუფარველი ყავარჯენია, ინგლისის ბურჟუაზიის დაცემა მთელი ევროპის ბურჟუაზიული ძალების დაცემას, მაშასადამე, საერთაშორისო რევოლიუციის ტომასწავებელია. უნდა ითქვას, რომ დღეს რუსეთის რევოლიუცია მარტო საკუთარ ძალებზე უძლესად დამყარებული და ვიწრო ჩარჩოებში მომწყვდეული. ევროპის კონტინენტში რევოლიუციონური მოძრაობა ძლიერ ნელად ვითარდება. ამის მიზეზი ინგლისი, ინგლისის ბურჟუაზია. რევოლიუციის აქტიული ძალების გაშლა საერთაშორისო მაშტაბში შეუჩერებელის ტემპით შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლოიდ ჯორჯები ჩამოსცილდებიან პოლიტიკურ ცხოვრების მსვლელობას, ინგლისშიაც აფრიალდება სოციალიზმის წითელი დროშები. რევოლიუციონური მოძრაობისათვის ინგლისში ნოყიერი ნიადაგი მზადდება და დღეს თუ ხვალ გახდება აუცილებელი ინგლისის ლორდების განუსაზღვრელი ბატონობის დამხობა და მის ნანგრევებზე პროლეტარიატის, მშრომელთა კლასის დიქტატურის აღმართვა. Gonseo, Gartafirnem esse delendam!!

გ. მუშიშვილი.

ამხ. ალექსანდრე სპანიერის მოხსენება

ერთი თვალსაჩინო განსხვავება არსებობს მენშევიკების ტ ბოლშევიკების რეჟიმთა შორის. მენშევიკებს ერთი მეტად საყურადღებო და სასარგებლო ჩვეულება ქონდათ—საკითხების გადაჭანა მასაში და მის გარშემო ფართო მოხსენებათა გაკეთება.

ბოლშევიკების დროს ასეთი მოხსენებანი არა თუ იშვიათია, თითქმის არავითარ მოხსენებას არ აკეთებენ ჩვენი საერთო თუ კერძო მდგომარეობის შესახებ და ამიტომვეა მუშათა წრეებიც ვერაფერს იგებენ არსებულ მდგომარეობის შესახებ.

ივვი არ არის, მარტო გაზეთებით ფონს ვერ გავალთ. თავი უნდა გავანებოთ მარტო პარტიულ აგიტაციო-პროპაგანდას და ხელი მიეცეთ სახელმწიფოს აღმშენებლობის საკითხების გადაჭანას ხალხის ფართო მასაში.

რუსეთში ამ მხრივ დიდი ცვლილება მოხდა, შეიძლება ითქვას თვითკრიტიკა ამ ჟამად არსად არ არის იმ სიმაღლეზე აყვანილი, როგორც რუსეთში. წმინდა პარტიულ საქმეების ადგილს ოვერს

სახელმწიფოებრივი პრობლემები და ამათ გარშემო ყველგან, ყოველ საპროფესიო დარგში, ყოველს ყრილობაზე ჩადგება შეტად საყურადღებო ბრძოლანი. ი. მამად შეძლება ითქვას, რომ რუსეთის ცხოვრების ყოველი ცუდი მხარე ყველასათვის გამოფენილია და ყველა ფიქრობს ნაკლთა გამოსწორებაზე.

საქართველოში არ არის ასეთი მდგომარეობა. აქ ძალა-უფლებასთან ახლო მდგომთა პირებმაც არ უწყიან დალაგებით და კონკრეტულად ჩვენი ქვეყნის საერთო ეკონომიური პირობების ამბები: უარყოფითი მხარეების გადმოლაგება თითქოს ცოდად იყოს მიჩნეული—ისე არავინ სწერს ასეთს კითხვებზე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დროთა-ამ მდგომარეობას ბოლო მოეღოს. ჩვენშიაც საჭიროა გაიშალოს თვითკრიტიკის დროშა და ჩვენი ნაკლი თუ დირსება მოვახსენოთ იმ ხალხს, რომლის სამსახური ჩვენი ისტორიული დანიშნულებაა.

როგორც დამახასიათებელი მოვლენა ამ მხრივ მეტის-მეტად საყურადღებოა ფინანსთა სახალხო კომისარის ამხ. ალ. სვანიძის მოხსენება. იგი მოხსენება ერთგვარი „უნიკუმია". ამხ. სვან ძის აინტერესებს ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრება, იოტის ოდნავ უყურადღებას არ აქცევს „მეზობლებს", მითქმა-მოთქმას, ლაპარაკობს სინამდვილის ენით და პესიმისტურ ჰანგებს მეტად ამნევს თავის ნაშრომში რათა მით მეტი სარგებლობა მოუტანოს თავის საყვარელ საქმეს.

უნდა გამოტეხით ვსთქვათ: არ მოველოდით სვანიძისგან ამდენ საღს მოსაზრებებს, ამდენ გაბედულ აზრებს და საკითხის ესოდენ ფართოდ და რაციონალურად დასმას. მოხსენების ენერგია, ტონი, საკითხის დაყენება და ხალხის საკეთილდღეოდ წარმოდგენილი გეგმა საბუთს გვაძლევს ვსთქვათ, რომ ფინანსთა უწყების ღირსეული პატრონი ჰყავს, ხოლო თავის განზრახვებში სვანიძე ჰპოებს, როგორც ჩვენში, ისე ჩვენი ხალხის ფართო წრეებში მოსარჩლეს და თანამგრძნობს.

ნება მომეცით გაგაცნოთ ამხ. სვანიძის მეტად საყურადღებო და დასაბუთებული თვით-კრიტიკა და მოხსენება.

უახლესმა თანამედროვე ხანამ ორგვარი სახეურნეო სისტემა იცის—კაპიტალისტური მეურნეობა და საბჭოთა სისტემა. უკანასკნელი სცადა რუსეთმა, მაგრამ ვერ მიიღო ჯერ-ჯერობით სანუკვარი შედეგი. მრეწველობა ხელში ჩაიგდო, ნაციონალიზაცია განახორციელა, მაგრამ მით მრეწველობა არა თუ აყვავდა, პირიქით—დაეცა. რუსეთი ეხლა ასწორებს თავის ძიძართულებას და ახალ გზებით მიდის კომუნისტური მეურნეობისაკენ. სამი წლის შემდეგ საქართველოც შეუდგა საბჭოთა ადმშენებლობას. მიუბედავად რუსეთის გაფრთხილებისა საქართველო სავსებით დაეწყო „რუ ულ იშაბლონს" და მით მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესა.

რა მდგომარეობაშია დღეს მუშათა კლასი საქართველოში? — კითხულობს ამხ. სვანიძე. სურათი გამოდის მეტად ტრაგიკული. მუშის ოჯახი იდებს საშუალოდ დღეში ორ-ნახევარ გირ. პურს და ჯამაგირის თვეში 60 ათას მანეთს. საქმელის, ბინის, სინათლის, სითბოს და ფეხსაცმელის ფასი კი ასეთი ოჯახისათვის აღემატება 2 მილიონს. ესე იგი მუშა იღებს 360 ათას მანეთს ორ მილიონის ნაცვლად, ანუ ერთ კვირაში იღებს რასაც დღეში უნდა დებულობდეს.

რაა ამის მიზეზი?—ამბობენ სიძვირეო, მაგრამ ამხ. სვანიძეს ეს პასუხი სრულიად არ აკმაყოფილებს. იგი ამტკიცებს სიძვირის ბუნებას. სიძვირეს ორი საფუძველი აქვს—ობიექტიური, როცა საქონლის სიმცირე და სუბიექტიური—როცა ქვეყნის რესურსები ობრდება და უმიზნოდ იფლანგება.

საკუთარ ვერ დავეთანხმებით ამხ. სვანიძეს იმის მტკიცებაში, რომ ობიექტიური მომენტი ვერ თამაშობს მთავარ როლს, მაგრამ იქვს გარეშეა, სუბიექტიური მომენტი მართლა სრულიად მოუწყობელია ჩვენში, რაიცა საოცრად ართულებს მდგომარეობას.

მაგ.თადა: ევროპიელისათვის ტფილისის ფასები დაბალია, ძისთვის აქ იფეფი ცხოვრება, სტერლინგით, ფრანკით, ლირით ტფილისში უფრო ადვილად იცხოვრებთ, ვიდრე ლონდონს, პარიზს ან სტამბოლში. ეს ხდება იმიტომ, რომ საქონელი აქ საკმაოდ მოიპოება, ხოლო ყალბი ასიგნატები და ირეგულიაცია ემისიის რეგს ყველაფერს.

ძალების უტილიზაციის პრობლემაა ამხ. სვანიძე დიდ ყურადღებას აქცევს. კომუნისტური საქართველო — ამბობს სვანიძე—ძალიანა ჰგავს ფეოდალურ იმპერიას, სადაც ანარქიული ინდენი იყვნენ, რაც ინიც გლეხები. მაგრამ ვინაიდან გლეხი თავის საკუთარ მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებდა და ბაგრეფვე ბატონისას, ამიტომ ორივე მშიერი რჩებოდა. ეხლა ჩვენც სიმშილით ვიდუპებით იმიტომ, რომ მარჩენალს სარჩენი უდრის.

პირველი ლ.ტი, რომელსაც ამხ. სვანიძე სცემს, არის სახელმწიფო ექსპედიცია, სადაც ფულები იბეჭდება. უნდა მოისპოს ემისია, ეს ექსპედიცია და სახელმწიფომ გაიჩინოს პირდაპირი წყაროები, როგორც რეგალიებიდან, წარმოებებიდან, ისე გადასახადებიდან.

ერთი სიტყვით საჭიროა სახელმწიფოებრივი ბიუჯეტის შეუგენა. მანქანა ბეჭდავს დღეში დაახლოვებით 700 მილიონ მანეთს. ესეც არ კმარა და ფულს იღებენ რუსეთიდანაც ექსპედიციის თვალსაზრისით წლიური ბიუჯეტი აღემატება 240 მილიარდ მანეთს. ეს თანხა რომ ხალხს გაეწეროს ოჯახს მოუწევს გადახდა 600 ათასი მანეთის, რაც შეუძლებელია მაგრამ ყველა ოჯახს ვერ გავაწერთ გადასახადს. 20 ათას ოჯახზე რომ გაიწეროს მთელი საჭირო თანხა მაშინ ოჯახს მოუწევს 1.500,000 მანეთი. თანამედროვე პირობებში გადასახადები—მაშასადამე—კიდევ ვერ მოგვარებენ საქმეს. აქ ვერც ჩეკას ენერგიული მუშაობა გაწყობს რასმეს.

ამხ. სვანიძე ხარჯების საკითხს მიაქცევს მთავარ ყურადღებას. ამ მხრივ მართლა ბევრი რამ არის გასაკეთებელი ამ ერამდე 18 სახალხო კომისარიატი ითვლება, რის დაყვანას სვანიძე მოითხოვს ექვსამდე. ამ მრავალს კომისარიატებში შტატები პირდაპირ განსაცვიფრებელია: იყო მაგალითად ცენტრალურ დაწესებულებებში მენშევიკებისა და ბოლშევიკების დროს კომისარიატებში:

	მენშევიკების დროს	ბოლშევიკების დროს
მიწათმოქმედების .	60	262
შინაგან საქმეთა . .	75	266
შრომის.	20	114
განათლების.	44	383
გარეშე	56	125
ინსპექ.-კონტროლი	297	599

დანარჩენ კომისარიატებში ხომ მდგომარეობა კიდევ უფრო უარესია. სვანიძე მოითხოვს მთელ რიგ კომისარიატების მოსპობას და ყველა კომისარიატებში შტატების შემცირებას ოთხჯერ და ხუთჯერ.

თვითონ კომისარიატების კრიტიკა რომელიც ამხ. სვანიძეს ეკუთვნის მეტის მეტად საინტერესოა. სასურველია სვანიძეს მოხსენებაა სრულიად დამეტდეს და გავრცელება.

ამხ. სვანიძე ყოველად დაუშვებელად სთვლის თანამედროვე სახით „სოვნარხოზის" არსებობას, როცა მთელს საქართველოში რაღაც 18 ქარხანაა ნაციონალიზაციას. რომ მიეცა, 1920 წლის ცნობებით ადნუსხული იყო ყველა საკავშრო-სამრეწველო დაწესებულება, მათი რიცხვი უდრის 4240 მუშის რაოდენობა კი 32.553. 1847 ქარხანა და საკავშროა სადაც დაქირავებული მუშაც არ არის, 137 დაწესებულება ითვლება რომელსაც შეიძლება ფაბრიკა-ქარხანა უწოდოთ, მხოლოდ 5 ქარხანა იყო, სადაც ეს კაცნი მეტი მუშაობდა. ასეთს პირობებში არსებობა სოვნარხოზის, რომლის ცენტრალურ დაწესებულებაში მუშაობს 1.143 კაცი წარმოუდგენელია, ამავე დროს კი არსებობს ცალკე კომუნხოზები, ეკონომიური განყოფილებანი და სხვ.

ბიდეთ ჯანმრთელობის კომისარიატი. ჯანკომის უწყებაში ირიცხება სულ 4200 კაცი, ქალაქის ჯანმრთელობის უწყებაში 142, ოფთიოქებში და საავადმყოფოში—2443 თანამშრომელი. რას აკეთებს ეს უწყება? წამლის საქმე არასოდეს ისე არ ყოფილა არეული, როგორც დღეს. ციებმა ლამის არის გადგანადგუროს. ტფილისში ქინაქინა რამდენიც გნებავთ მოიპოვება, მაგრამ შესყიდვა აკრძალულია. უბრალო დაფქული წამლის (порошок) შოვნას სჭირია ორი-სამი დღ ს ბრძოლა. ჯანკომის ხელში გადავიდა კურორტების საქმე. მაგრამ კურორტის საქმე უფრო გაიწეწა, კურორტებში გაიგზავნა თანამრომელნი რომელნიც სიმშილით კინადამ დაიხოცნ. ამხ. სვანიძე მოითხოვს ამ უწყების სრულს რეორგანიზაციას და მასში დეცენტრალიზმის პრინციპის გატარებას:

(დასასრული იქნება).

ახალი ამბები

— უმაღლეს სამეურნეო სახალხო საბჭოს დადგენილებით, ნოემბრის 12-ს თარიღით, ბორჯომის მამულების გამგეთ დაინიშნა ამხ. ვასილ კანდელაკი.

— უ. ს. ს. საბჭოს ქიმიკურ კოლეგიის წევრებათ დაინიშნა თავმჯდომარეთ ამხ. ბურჯანაძე, წევრებათ პანტურაა და ავალიშვილი.

— უ. ს. ს. ს. პრეზიდიუმის დადგენილებით სატყეო განყოფილების გამგეთ დაინიშნა ამხ. ხოდჯიმარიანი.

თიანეთის მაზრის რევკომის მოღვაწეობა

განათლების საქმე. თიანეთის მაზრის რევკომის მოღვაწეობა განსაკუთრებულ უურადღებას იქცევს, ვინაიდან მაზრის მდგომარეობა დიდათ განირჩევა შედარებით სხვა მაზრებთან, განსაკუთრებით კი კულტურულ სფეროში. ადვილი გასაგებია, რომ რევკომსაც მიუქცევია უურადღება ამ გარემოებისათვის, რაიცა გამომდინარეობს რევკომის მთელ რიგ მოღვაწეობიდან. რევკომს გადაწყვეტილი ჰქონდა მოეწყო მასწავლებელთა კურსები. კურსების მოსაწყობად განათლების სახალხო კომისარიატმა თანხმობაც განაცხადა, საამისოდ ლექტორები უკვე ნაშოვნი იყო, მაგრამ განათლების სახალხო კომისარიატმა დაადგინა გახსნილიყო ტფილისში ინსტრუქტორთა მოსამზადებელი კურსები, სადაც გაიგზავნა ორი კაცი თიანეთის მაზრიდან. ივნისში მოწვეული იყო მაზრის რევკომის განათლების განყოფილების გამგეობის კონფერენცია, რომელმაც გასტანა ერთი კვირა. კონფერენციამ გამოარკვია, რომ მაზრაში დაარსებულია განყოფილების კოლეგია და მუშაობა სწარმოებს თანახმად ინსტრუქციებისა. თიანეთის მაზრა კი ყველა ამას მოკლებული იყო, რაშიაც დანაშაული მიუძღვის ყოფილ მაზრევკომის წევრებს. ინსტრუქციის მიღების შემდეგ განყოფილება შეუდგა მუშაობას, დაარსდა კოლეგია სამი კაცისაგან. კოლეგიამ გადასწყვიტა გახსნას ახალი სკოლები, სადაც საჭირო და შესაძლებელია. ივნისში მაზრაში არსებობდა 13 სასწავლებელი. სკოლების შენობების გამონახვა და შეკეთება მიენდო ინკ. ხიზანაშვილს, კოლეგიამ დაადგინა აგრეთვე გახსნას ახმეტაში უმაღლესი სასწავლებელი. წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად მაზრაში სწარმოებდა კოლეგიის მიერ რეგისტრაცია 15-დან 50 წლამდე. განათლების განყოფილების ხელში გადასულია ყველა კულტურული დაწესებულებანი, როგორიც არის: თეატრები, კინემატოგრაფები, სამკითხველოები, კლუბები და სხვ. განყოფილებამ გადასწყვიტა ახლო მომავალში წოაწყოს წიგნთ-საცავი, სამკითხველოები და საფეიერო სასწავლებელი დ. თიანეთში. რისთვისაც უკვე შეკეთებულია ორი სტანოკი. განზახულია აგრეთვე მოეწყოს ბრა-კერვის სასწავლებელი ქალთათვის თიანეთში, ახმეტაში, მატანში. ნაქალაქარში. სვიმონიანთ ხევში და სადვირონში, მაზრაში საჭიროთ სცნო განყოფილებამ დაარსოს 20 ახალი სასწავლებელი.

ტექნიკური საქმეები. დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა, მაზრის რევკომის მოღვაწეობა ვერ იყო დაყენებული თავის სიმაღლეზე, რადგან რევკომის შემადგენლობა ხშირად იცვლებოდა, და ეი ამის მიზეზით გზები და ბოგირები შეუკეთებელი დარჩა. მაზრის რევკომის ინჟენერი ხიზანაშვილი მოითხოვდა პირველ რიგში შეკეთებულიყო ახმეტა თიანეთის და თიანეთ-ერწოს გზები, თიანეთში ჰატარა შტაბით მოწყობილიყო ელექტრონის სადგური, გაფართოებულიყო მაზრაში მდინარეების ენერგიის გამოყენება განათების მიზნით, გაყვანილია ტელეფონის ხაზი რტანში და ფშავ-ხევსურეთის რაიონში და ამუშავებულიყო სამხერხაო, სასწრაფოდ შეკეთებულიყო გზები და ბოგირები, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მაზრაში ეტლების და ურმების მიმოსვლა, დასასრულ ინკ. ხიზანაშვილი მოითხოვდა წყალის გაყვანას ახმეტაში, რომლის ხარჯებსაც კისრულობდა თვით მცხოვრებნი.

ხურსათის საქმე. მაზრაში ჩარჩ სპეკულიანტების ნავარდობის გამო, სასურსათო საქმე მწვავე ხასიათს დებულობდა, ამიტომ რევკომმა დაადგინა. ვინაიდან თიანეთის მაზრის მცხოვრებნი, მაზრამი არსებულ საბჭოთა დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურენი და თიანეთში დაბანაკებული წითელი არმიელები განიცდიან დიდ გაჭირვებას ხურსათ-სანოვაგის მხრივ, თიანეთის მაზრიდან ხურსათ-სინოვაგის გატანა, რამდენიც არ უნდა იყოს კერძო პირთათვის აკრძალულია მაზრკომის სამსახურკომის ნებადართველად პირველ ხანებში მაზრის ხურსათო კომიტეტს ძლიერ უჭირდებოდა მუშაობა, მაგრამ როგორც კი ახერხებდა, იგი იძენდა ხურსათ-ხანოვაგეს საქონელზე გადაცვლით და ამის მიხედვით რაც მას მოეპოებოდა აკმაყოფილებდა საბჭოთა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთ. ამ ერამდე სამსახურკომს აქვს ახმეტიდან ჩამოტანილი 20 ფუთი ხორბალი, არის გადასაცვლელი მარილი, ძველი ტანისამოსი და სხვა და სხვა საქონელი, წოიძებნება ცოტაოდენი კარაქიც, მარილი იყო სულ ახმეტის რაიონში 350 ფუთამდე, ნაწილი უკვე გადაცვლილია ხურსათზე, 200 ფუთამდე განზრახულია ჩამოტანილ იქნას დ. თიანეთში, სადაც ნაწილი დაურიგდებათ მუშა-მოსამსახურეთ, ნაწილი კი გადაიცვლება ხურსათზე, სამსახურკომს დაუყონებლივ გაგზავნოს აგენტები შორეულ სოფლებში მაღაზიაში დაგროვილ საქონლის გადასაცვლელად ხურსათ-სანოვაგეზე, ნება მიეცა სამსახურკომს შეიძინოს მცხოვრებლებისაგან (შეძლებულ პირებიდან) ხორბლეული სესხის სახით, ხოლო ცოცხალი საკლავი საქონელი ნისიათ, რომლის ღირებულება უნდა იქნეს ანაზღაურებული ფულის მიღებისთანავე.

— მიწის კომიტეტის მოღვაწეობა. რაიონში ყველგან არ არის მოწყობილი მიწის კომიტეტები. ფშავ-ხევსურეთში მიწის კომიტეტის მოწყობა არ არის საჭირო, ვინაიდან იქ არის მარტოთ-მარტო საძოვარი საზაფხულო საიალაღო მთები, რომლის საქმიანობის მოწყობა დაევალა შესაფერ განყოფილებას, მაზრაში დაგზავნილი არიან რწმუნებულები მიწის კომიტეტებში მონაწილეობის მისაღებად? ცნობების შესაკრეფად და ნორმების გამოსარკვევად, მაზრაში მუშაობს ერთი მიწის მზომელი, რომელიც ვერ ასწრებს მუშაობას. საჭიროა კიდევ 4 მიწის მზომელის მოწვევა. საერთოდ სადაკილ-მამულო განყოფილება ვერ არის შესაფერად მოწყობილი როგორც ტექნიკურ მიზეზების გამო ისე გამოცდილ მომუშავეთა არყოლით.

— ილდაკანის ნავთის საძრეწველოს დაცვა. მაზრევკომის ინკ. ხიზანაშვილს და ამხ. გარსლიანს დაევალა საჩქაროდ გამგზავრება ილდაკანში ნავთის სამრეწველოს ქონების ცნობაში მოყვანა და სათანადო ნუსხის შედგენა მაზრევკომის წარსადგენად. აწერილ ქონების დასაცავად უნდა შესდგეს სამი კაცისაგან სადარაჯო, რომლის ტექნიკური მხარის მოწყობა მიენდო მაზრის მილიციის უფროსს.

— ქისტების თავდასხმა. ქისტების თავდასხმა თიანეთის მაზრაში ყოველთვის ხდებოდა, მაგრამ ამ ზაფხულში კი ხშირ მოვლენად გადიქცა. მაზრევკომის სხდომაზე 25 ივლისს გამოირკვა, რომ უკვე მეორეჯერ დასხმიან გროზნის ქისტები მაზრის საზაფხულო საიალაღო მთებს, სადაც კიდევ მოჰკლეს ერთი მწყემსი და მეორე კი დასჭრეს. თავდასხმის შესახებ იქონია მსჯელობა სამაზრო რევკომმა 25 ივლისს და დაადგინა შემდეგი: დაევალოს თიანეთის მაზრის მილიციის შტატის უფროსს ამხ. ყარსელაშვილს დღეიდანვე შეუდგეს საგანგებო მთის მილიციის შედგენას, სადაც უნდა შევიდეს 200 კაცი ბანდიტიზმთან საბრძოლველად და საზღვრების დასაცავად. რაც შეეხება 21 ივლისს გროზნის ოლქიდან გადმოსულ ქისტებს, რომლებმაც ორტანის საზაფხულო მთებიდან [illegible] ცხვარი, მოკლეს ერთი მწყემსი და მეორე [illegible] რევკომს, რომ მან მიიღოს სათანადო ზომები გარეკილ საქონლის დასაბრუნებლად და იქონიოს გავლენა გროზნის რევკომზე, რათა მან ერთხელ და სამუდამოდ მოსპოს აჩადობა თავის მცხოვრებლებში. 22 აგვისტოს გამოირკვა, რომ მდგომარეობა კიდევ გამწვავებულა. თავდასხმას უკვე სისტემატიური ხასიათი მიუღია. სამაზრო რევკომმა გითვალისწინა ყოველივე ეს და დადგინა: ეთხოვოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს და მილიციის მთავარ სამმართველოს ის რაზმი, რომელიც არის გამოგზავნილი მაზრაში ბანდიტიზთან საბრძოლველად, ამხ. ცალქალამანიძის მეთაურობით 22 ივლისიდან დარჩეს კიდევ ორი კვირით მაზრის მოსალოდნელ თავდასხმის თავიდან ასაცილებლად.

— რაიონულ რევკომის კონფერენცია. ივლისის 10-ს შესდგა დ. თიანეთში მაზრის რაიონულ რევკომების თავმჯდომარეთა და მდივანთა კონფერენცია. კონფერენციას მუშაობის ხასიათი ჰქონდა. გამოირკვა, რომ თითქმის ყველა რაიონებში მიწის საკითხი ძალიან ნწვავედ სდგას, რისთვისაც კონფერენციამ სთხოვა ხთ ვრობას დახმარება. მილიცია თავის სიმაღლეზე ვერ სდგას, რაც აღინიშნა რაიონულ წარმომადგენლების მიერ. არის რაიონები, სადაც პარტიულ მუშაობაზე წარმოდგენაც არა აქვთ, სწავლა-განათლების საქმეს კონფერენციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, რისთვისაც მიღებულ იქნას შესაფერი ზომები.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

დავკარგე პასპორტი მიცემული ყუბანში სტანიცა ელინკაში, პრასკოვია სემიონის ასული ივანოვიოროვის სახელზე, რაც ჩითვალოს გაუქმებულად.
94

დავკარგე მატრიკული მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიკურ ფაკულტეტიდან, თეოდორ კვირიკაძის სახელზე და გეგმა მიწის მიღებული სამიჯნო განყოფილებიდან ბესარიონ კვირიკაძეს სახელზე, ჩითვალოს გაუქმებულად.
93

დედა ანნა ივანეს ასული, რძ ლი სოფიო პეტრეს ასული და ძმა ქაიხოსრო ყიფიანები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს რომ კვირას ნოემბრის 20-ს გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ნახევარი წლის, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში 12 საათზე მ თი დაუვიწყარი პირველის შვილის, მეორე მეუღლის და მესამე ძმის

გიორგი ალექსანდრეს ძე
ყიფიანის
91.

ПОЭЗИИ АКАДЕМИЯ
САЗЕИМО ГАЗЕТА! კვირას, ნოემბრის 20-ს САЗЕИМО ГАЗЕТА!
გრიგოლ რობაქიძე—„სიტყვა პოეზიის".
პავლე ინგოროყვა—„დეკადანსის საზღვართან".
პოეტები:
გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ნიკოლოზ მიწიშვილი, შალვა ოფხაიძე, კ. ჭიჭინაძე, რაფდენ გვეტაძე, შალვა კარმელი და სხვა წევრები ახალი მწერლობის კავშირისა წაიკითხავენ ლექსებს.
დასაწყისი სრულ 6 საათზე.
ხელოვნების სასახლეში სერგიევის ქ. № 13.
92

მათემატიკაში
(არითმეტიკა-ალგებრა, გეომეტრია და ტრიგონომეტრიაში)
გერმანულ, ფრანგულ ენებში ვიძლევი გაკვეთილებს და ვამზადებ მოწაფეებს. მისამართი: პლეხანოვის და ალექსის ქ. კუთხე № 25-ს (იკითხეთ კანდელაკში). ნახვა და მიღება 3–6 ს.
82

გიმნაზიის მასწავლებელი
ამზადებს მოწაფეებს
სპეც. ქართული, საზოგადო ისტორია
მისამართი: იკითხეთ „ტრიბუნის" რედაქციაში.